

## კომუნიკაცია

### მტრის ხატის ვიზუალიზების სემიოლოგიური ასპექტებიონლაინ პლატფორმებზე

#### ია ჩარქვიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი, საქართველო  
ia.charkviani@atsu.edu.ge

სახე-ხატის გასააზრებლად სხვადასხვა ეპოქაში იყენებდნენ მეტაფორულ ილუსტრაციებსა და ფოტომასალას, რითაც ზეგავლენას ახდენდნენ საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. მტრის ხატის ვიზუალიზაცია აქტუალობას არც ჩვენს დროში კარგავს. ჩვენი თანამედროვე საზოგადოება სამხედრო კონფლიქტების თვითმხილველია, მით უმეტეს, რომ დასწრების ეფექტს ქმნის მედია თავისი ვიზუალური საშუალებებით. შესაბამისად კონფლიქტის კერიდან შორს მყოფი ქვეყნების მოქალაქეებიც კი ჩართულნი არიან საინფორმაციო კამპანიაში და ომის შესახებ გამოცდილებას მედიასაშუალებებით იღებენ. ამ მხრივ, გამონაკლისს არც ქართული პრესა და საზოგადოება წარმოადგენს. სტატიის მიზანია ქართულ ინტერნეტმედიაში შემოთავაზებული ციფრული ფოტომასალის საფუძველზე მტრის ხატის ანალიზი სემიოტიკური მეთოდის გამოყენებით.

**საკვანძო სიტყვები:** დენოტაცია, კონტრაცია, სინტაგმა, მითი, მარკერი.

სემიოტიკის, როგორც ნიშანთა შესახებ მეცნიერების უდიდესი მნიშვნელობა იწინასწარმეტყველა ფრანგმა ენათმეცნიერმა ფერდინანდ დე სოსიურმა (სოსიური 2010: 269). ის აღნიშნავდა, რომ ერთ დღესაც ლინგვისტიკ აგახდებოდა მხოლოდ ნაწილი გაცილებით დიდი და ყოვლისმომცველი მეცნიერებისა ზოგადად ნიშანთა სისტემების შესახებ. მასვე ეკუთვნის ამ დისციპლინის სახელდება „სემიოტიკა“. შემდგომში, ხსენებული ჰიპოთეზა საფუძვლად დაედო სამეცნიერო კვლევებს სხვადასხვა დარგშიდა გამოიყენეს ლიტერატურული, ვიდეო, ქორეოგრაფიული, ფოტო და ა.შ. ტექსტების კვლევისთვის.

სემიოტიკური მეთოდის გამოყენებით გამოვიკვლიეთ ციფრული ფოტო, როგორც ტექსტი. კერძოდ, გავაანალიზეთ ქართულ ინტერნეტმედიაში მტრის ვიზუალურიხატი, ფოტოგრაფიული მასალების განხილვის საფუძველზე. ვინაიდან ჩვენი მიზანი იყო მტრის სახის

## ი. ჩარკვიანი

ვიზუალიზაციის კვლევა ინტერნეტ მედიაში, შევარჩიეთ ის გამოცემები, რომლებიც აქვეყნებდნენ კვლევისთვის საინტერესო ფოტო მასალას. მათი რაოდენობრივი სიმცირის გამო საჭირო გახდა საკვლევი პერიოდის გაზრდა. ამდენად, ჩვენ განვიხილეთ შემდეგი ინრეტნეტ გამოცემები: „imednews.ge“, „კვირის პალიტრა“, „რეპორტ.ჯი“, ხოლო საკვლევ პერიოდად განვსაზღვროთ 2013-2021წწ. უმეტესწილად ფერადი ფოტოებია გამოყენებული. ზოგადად ინტერნეტმედია რეალობის ასახვისთვის ფერად ფოტოს უფრო მიმართავს, შავ-თეთრს კი აზრის მეტაფორული გადმოცემისთვის იყენებს, თუმცა, ეს სხვა კვლევის საგანია და ამჯერად მასზე არ შევჩერდებით.

„imednews.ge“ 2021 წლის 13 აპრილს აქვეყნებს ახალ ამბავს სათაურით: „რუსეთის ოკუპაციის თემაზე ილუსტრაციების კონკურსი გამოცხადდა“ და ურთავს GIPS-ის (საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკური ინსტიტუტი) ფოტოილუსტრაციას, რომელზეც ჩანს აფიშიდან მსხვილი წითელი შრიფტით წარწერა - „რუსეთის ოკუპაცია 1921 წლიდან დღემდე“. მსხვილი შრიფტის ზემოთ, ხელნაწერის იმიტაციას ქმნის ციფრი 100. ასეთი ფორმის წარწერა კეთდება კედელზე ცარცით ან ამოკაწვრით. რიცხვები - ერთი ერთიანი და ორი ნული მავთულხლართის სინის იმიტაციას ქმნის. წარწერების უკანა ფონზე მავთულხლართის სამი ხაზია. ზემო ნაწილში შავი შრიფტით იკითხება - ილუსტრაციების კონკურსი. ქვედა მარცხნა კუთხეში განთავსებული აბრევიატურა GIPS და მის უკან გამჭვირვალე შრიფტით დატანილი ინფორმაცია საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკური ინსტიტუტი, მიუთითებს კონკურსის ორგანიზატორზე. ა.ვ ზოტოვი თავის სტატიაში „ფერი კანდინსკის შემოქმედებაში“ განიხილავს ხელოვანისა და თეორეტიკოსის ვ. კანდინსკის თეორიას ფერისა და ფორმის ურთიერთქმედების შესახებ და ეთანხმება მას, რომ თითოეული ფერი და ფორმა, ასევე, კონკრეტული ფერის გარკვეულ ფორმასთან მიმართება თავისებურ ემოციურ ზეგავლენას ახდენს ვიზუალური ტექსტის მკითხველზე (ზოთო 2022).

ვ. კანდინსკის ნაშრომში წითელი ფერი განსაზღვრულია, როგორც ამაღლვებელი ტონი, ეს შეფერილობა აღაგზნებს ფსიქიკას (Пилюгайцева 2022: 338). ტოპოგრაფიული დიზაინის ელემენტების ანალიზი აჩვენებს, რომ აფიშის და მასზე შექმნილი ფოტოს მიზანია, მნახველის ცნობიერებაში აღბეჭდოს ინფორმაცია 100 წლიანი ოკუპაციის შესახებ. ფოტო არის შთამბეჭდავი და მეტყველი, დამაფიქრებელი, გაიძულებს დავფიქრდეთ ისტორიულ წარსულსა და აწმუოზე. აფიშის ფურცლის ფერიც სიძველის ეფექტს შეიცავს, რითაც გამოხატულია აზრი, რომ რუსული ოკუპაცია არ არის ახალი მოვლენა საქართველოსთვის. უფრო კონკრეტულადკი, მას

## აპარი ცერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, 2022, №1(19)

100-წლიანი ისტორია აქვს. 100-ის გაფორმება ასოცირდება ტკივილთანაც, რადგან ნაკაწრის ფორმის წითელი შეფერილობა სისხლის ასოციაციას ქმნის. კანდინსკი თავის ზემოხსენებულ ნაშრომში განსაკუთრებულ ადგილს სწორედ ფერისა და ფორმის ურთიერთ მიმართებას უთმობს. წითელი ფერი უპირველეს ყოვლისა სისხლსა და ცეცხლთან ასოცირდება, ის ასევე ბრძოლის სიმბოლოა. მოცემულ სურათში კონოტირებულია ინფორმაცია ხანგრძლივი ოკუპაციის სიძნელის, სისხლის ღვრისა და ტკივილის შესახებ. თუმცა წითელი ამავე დროს აღმრავს ქმედების სურვილს მნახველში.



### სურათი 1.

„კვირის პალიტრის“ 2015 წლის 13 ივლისის ინტერნეტ სტატიაში „ოკუპაცია, ფეხბურთი და პატრიოტიზმი“ საილუსტრაციოდ გამოყენებულია ირინა ანდრეევას ფოტო, რომელზეც გამოსახული კადრი ორნაწილადაა გაყოფილი. მარჯვენა მხარე ფერადია, მარცხენა მხარეს კი დომინირებს შავი ფერი. შავ-თეთრ ნაწილში წითელი მსხვილი შრიფტით წარწერაა „არა“. ფერად ნაწილში გამოსახულია მწვანე მინდორი გაზაფხულის ყვავილებით. მინდორი ხასხასაა, მაგრამ ცოტა გათელილი, არც ყვავილების ფერთა პალიტრა ემთხვევა ქართლის ველების ყვავილების ტრადიციულ მრავალფეროვნებას. მინდორზე ქართული დროშის იმიტაციაა დატანილი. ორი სივრცე ერთმანეთისგან მავთულხლართითაა გაყოფილი. ფოტო წარმოსახვით დებატებში ითრევს მკითხველს. მავთულხლართის მარცხნივ დენოტირებულ ფერებსა და ფორმებში კონოტირებულია ოკუპირებული ტერიტორიის უპერსპექტივობა, ხოლო

## ი. ჩარკვიანი

ფერადი დამოუკიდებელი ქვეყნის სიმბოლოა. მავთულის საზღვრის ქვეშ გოგონა წევს პირისახით მიწისკენ. ამგვარად, მისი სახის იდენტიფიცირება არხდება. გოგონას ტანის ქვედა ნაწილი გადახნული და უსიცოცხლო მიწის მხარესაა მოთავსებული, ხოლო თავი და ხელი მწვანე მინდორზეა, თანაც ხელით დროშას სწვდება. ხელი დაკაწრული აქვს და ჭრილობიდან სისხლი სდის. გოგონას შარფი წითელია, თუმცა უფერო მხარეს შარფის ნაწილიც შავია.

ფოტოგამოსახულების კონტაციით მივდივართ მითამდე, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების საქართველოსთან შეხვედრის ოცნების განხორციელება დიდი ტკივილის ფასად უჯდებათ ადამიანებს. მივაქციოთ ყურადღება ცალკეულ ნიშნებს, მარკერებს, როგორც ბარტი უწოდებს (Bart 2003: 205-210) ნატკენი, დაკაწრული ხელებიდან სისხლის კვალი მოჩანს. საქართველოში მათთვის იმედს მზისფერი აქვს, თუმცა დანარჩენი ქვეყანაც არაჯანსაღად გრძნობს თავს დაკარგული ნაწილების გამო, რაც გათელილი ბალახის მეტაფორითაა გადმოცემული. მასზე გაბნეული ყვავილების უღიმღამობაც მიანიშნებს, რომ ქვეყანა სევდასა და განსაცდელშია, მზიანი დღეების მიუხედავად. წითელი ფერი ამ ფოტოზე ორგვარ მინიშნებას ქმნის. ოკუპირებულ მხარეს იგი პროტესტთან და ღელვასთანაა დაკავშირებული, ანტაგონიზმს გამოხატავს, ხოლო ფერად, მარჯვენა მხარეს, რომელიც დამოუკიდებელ ქვეყანას განასახიერებს, შარფის წითელი შეფერილობა მიზან დასახულობას, ალტრუიზმსა და სიყვარულს უკავშირდება. უფერული გარემოდან თავის დაღწევის საერთო სამოქალაქო სურვილი კონტირებულია სახის დაფარვაში. ამგვარად, დამალული სახე სიმბოლურად ნებისმიერ მოქალაქეს განასახიერებს. ამ პატარა გოგონას მებრძოლი სული, მისი დაძაბული, ძალისხმევით სავსე პოზითაა გადმოცემული. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანები არ კარგავენ ოცნებას და ძალისხმევას არ იშურებენ მის განსახორციელებლად, უდიდესი რისკისა და ტკვილის პირობებშიც კი. ჩვენ მიერ მითითებულ რელევანტურ ლიტერატურაზე დაყრდნობით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ხელოვნება დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა რეალობის ოდენ მიბაძვას, მაგრამ დადგა დრო, როცა ხელოვნება რეალობის გადმოსაცემად იყენებს ახალ ფორმებს და ფერებთან მათი დაკავშირებით გადმოსცემს სათქმელს ეს პრინციპი გამოიყენა ფოტოგრაფიამაც. ახალი ფოტო, მით უმეტეს, ციფრული ფოტო, სრულად იზიარებს რეალობის ასახვის კანდინსკისეულ მეთოდს და განსახილველ ფოტოზე მტრის სახის კონტირებას სწორედ ფერებისა და ფორმების დენოტირებით ახდენს. აյ არჩანს ბრძანების გამცემი, ან შემსრულებელი. ვინ გასცა ბრძანება გადაეჩიჩნათ მიწა, ან გაებათ მავთულხლართი? მტერი უსახურია

## აპარი ცერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, 2022, №1(19)

და იგი იმპლიციტურად სწორედ შედეგებში იგრძნობა. მისი ქმედება შედეგებითა გამოხატული. რთულად გასასვლელი ზღვარი, გათელილი ბალახი, უფერული ყვავილები, ძირს დაგდებული დროშა, დაკაწრული და სისხლიანი ხელები სწორედ მტრის არსებობასთან ასოცირდება. სწორედ ამ ნიშნებით ახდენს ფოტო მტრის მარკირებას.



### სურათი 2.

„report.ge“ 2021 წლის 22 მარტს ავრცელებს ცნობას ოკუპაციასთან ბრძოლის სიმბოლოდ ქცეული დათა ვანეიშვილის (რომელსაც დათა პაპად მოიხსენიებდნენ) გარდაცვალების შესახებ. დაკრძალვის ცერემონიალზე ნათესავები და აქტივისტები ჩავიდნენ, რომლებსაც არ მისცეს საოკუპაციო ხაზის გადაკვეთის უფლება და მხოლოდ ათი ადამიანი შეუშვეს მასთან გამოსამშვიდობებლად. ინტერნეტ გამოცემა ნიუსისტვის იყენებს ნინო კოდალაშვილის ფოტოს, რომელზეც დენოტირებულია მავთულხლართში ჩაწერული მიხაკი. ნიშნების განხილვა აქ კონკრეტული კულტურის ტრადიციის მიხედვით უნდამოხდეს. საქართველოში მიხაკით მიაგებენ პატივს გარდაცვლილს. ეს გამოთხოვების სიმბოლოდ ქცეული ყვავილია ქართული საზოგადოებისთვის. ამგვარად, პატივგებისა და ხსოვნის შინაარსი გამოხატულია მიხაკით. ხოლო მავთულხლართით, ისევე, როგორც წინა ფოტოებზე, აქაც მტერია სიმბოლიზებული. მიხაკი, სიმბოლოთა ლექსიკონის მიხედვით, სიმამაცისა და თავგანწირვის სიმბოლოა. ფოტოზე იგი ისეა დენოტირებული თითქოს ყელით ებჯინება ალესილ მეტალს. ამგვარად, ფოტო ქმნის მითს პიროვნების შესახებ, რომელმაც სიმძიმისა და განსაცდელის მიუხედავად, არ დატოვა

## ი. ჩარკვიანი

საკუთარი მიწა-წყალი და სიკვდილამდე განაგრძობდა მშვიდობიან პროტესტს მტრის ქმედების წინააღმდეგ. ეზოში, რომელიც ამ მიხავის ფონს ქმნის, გამხმარი ფოთლებია მიმობნეული, მავთულ-ხლართებივით დახლართულია ხეების ტოტებიც, თითქოს მტრის შემოტევას გარემოც წინააღმდეგობით პასუხობს. რაკი ბარტი აღნიშნავს რომ საგნებს ჩვენგან დამოუკიდებლადაც აქვთ თავისი შინაარსი, ხის ტოტების ამგვარი ფორმაც აგრესიაზე მტკიცე პროტესტის სიმბოლოდ უნდა მივიჩნიოთ. თუმცა სიმბოლოს უნივერსალურობა იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი ბევრნაირ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. ფოტოზე დენოტირებული მავთულის საზღვარი ორი სახელმწიფოს მიჯნის გარდა შეიძლება აღვიქვათ, როგორც საზღვარი ამიერ და იმიერ ქვეყნებს, საიქიოსა და სააქაოს შორის. კანდინსკის მიგნება ფორმებით რეალობის გადმოცემის შესახებ აქაც რელევანტურია, პირდაპირი გზით ხელოვნებას, მით უმეტეს ფოტოხელოვნებას გაუჭირდებოდა ამ ბანალური მოვლენისათვის სიმბოლური დატვირთვის მინიჭება. თუ ფოტოგრაფიის გარიურაჟზე გარდაცვალების დასაფიქსირებლად გამოდგებოდა გარდაცვლილის პირდაპირი ასახვა, ამ შემთხვევაში მოვლენა გამოცემულია გამხმარი ფოთლების, საზღვრისა და მიხავის სინტაგმით. თანაც ეს ისეა გადმოცემული, რომ სულის შემძვრელად ზემოქმედებს მნახველზე.



### სურათი 3.

**დასკვნა.** ამრიგად, ქართულ ონლაინ პლატფორმებზე გამოქვეყნებული მასალების ანალიზმა ცხადყო, რომ პოსტსაომარ ვითარებაში მტრის ხატის ვიზუალიზაციისას თანამედროვე მედია იყენებს მხატვრობაში უკვე დიდი ხნის დამკვიდრებულ ფორმათა და ფერთა ურთიერთ მიმართების

## აპარი ცერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, 2022, №1(19)

---

მეთოდს და ფოტო სინთეზს, როგორც კონტაციის ხერხს, რომელიც გულისხმობს რამდენიმე ფოტოს ერთმანეთის გვერდით განთავსებას, ზუსტად ისეროგორც სიტყვები განთავსდება წინადადებაში. სემიოტიკაში მას ჰქვია სინტაქსური გაერთიანება, ან ფოტოსინტაქსი. ასეთი ფოტო აუდიტორიას უჩვენებს არა ერთ ფაქტს, არამედ პროცესს თავის შედეგით, რაც ქრონოლოგიური ჩარჩოების საზღვრებს არღვევს. აღნიშნული მიდგომა ფოტოურნალისტიკაში ჩამოყალიბდა ახალი ტექნოლოგიების სამუალებით. ეს მიდგომა სფეროს ერთგვარი ნოვაციაა. ციფრულ ეპოქამდეც სინთეზური მეთოდი გამოყენებული იყო მხატვრების მიერ და მარტო ინდივიდუალურ წარმოსახვას ეფუძნებოდა.

### ლიტერატურა

სოსიური, ფერდინანდ დე. 2010. ლინგვისტიკა და სემიოლოგია. თბილისი: შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემლობა.

იმედი-ნიუსი <https://imednews.ge/ge/sazogadoeba/196837/rusetis-okupatsiis-temaze-ilustratsiebis-konkursi-gamotskhadda>) მოძიებულია 15.05.2022.

რეპორტი. ჯი <https://report.ge/society/data-papas-dghes-dakrdzalaven/> მოძიებულია 15.05.2022

კვირის პალიტრა (<https://www.kvirispalitra.ge/thea-baramashvilis-blogi/25798-okupacia-fekhburthi-da-patriotizmi.html>) მოძიებულია 16.05.2022

Барт, Р. 2003. Система моды. Статьи по семиотике культуры. М. ([http://yanko.lib.ru/books/cultur/bart-sistema\\_modu.pdf](http://yanko.lib.ru/books/cultur/bart-sistema_modu.pdf)) მოძიებულია 19.05.2022.

Зотов, А.В. „Цвет в творчестве Кандинского“ <http://www.kandinsky-art.ru/library/cvet-v-tvorchestve-kandinskogo.html> მოძიებულია 18.05.2022.

Пилиугайцева., Ю.И. „Теория цвета В. Кандинского“ <https://cyberleninka.ru/article/n/teoriya-tsveta-vasiliya-kandinskogo/viewer> მოძიებულია 19.05.2022.

## Communication

### Semiological aspects of enemy icon visualization on online platforms

Ia Charkviani

Georgian Technical University

Tbilisi, Georgia

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

ia.charkviani@atsu.edu.ge

*The media outlets of war-torn states offered metaphorical illustrations and photographs to their audiences to understand the image of the enemy in different eras, thus influencing public consciousness. Visualization of the enemy icon does not lose its relevance in our time either. Our modern society is an eyewitness to military conflicts, especially since the media creates the effect of presence through its verbal or visual means. Consequently, even citizens of countries far from the center of the conflict are involved in the information campaign and gain experience about the war through the media. The Georgian press and society are no exception in this regard. The purpose of our article is to analyze the enemy icon based on the digital photographs offered in the Georgian Internet media using the semiotic method.*

**Keywords:** denotation, connotation, syntagm, myth, marker.

French linguist Ferdinand de Saussure predicted the greatest significance of the science of semiotics as a sign. He pointed out that one-day linguistics would become just a part of the much larger and more comprehensive science of sign systems in general. The name of this discipline also belongs to him. This hypothesis has formed the basis of real scientific research in various fields. The semiotic method was used for the study of texts in literature, video, choreography, photography, etc. Proof of the universality of the semiotic method is the study of new texts in the digital age. The following article aims to discuss and analyze visual, particularly, photographic materials in the Georgian Internet media using the semiotic method.

Most of the color photos used in the publications we reviewed („imedinews.ge“, „Kviris palitra“, „New post“, „Report.Ge“). in general, internet media uses more color photography to reflect reality. Black and white are mostly used for metaphorical photos. Proof of the universality of the semiotic method is the study of new texts in the digital age. The following article aims to analyze the creation

of the enemy icon in the Georgian internet media, The following article aims to analyze the semiotic method in the study of new texts in the digital age. The following article aims to analyze the creation of the enemy icon in the Georgian Internet media, the analysis of facial expressions, visual reflection, the discussion of photographic materials by using the semiotic method.

„ImedineWS.ge“ publishes an article on April 13/2021, entitled „A competition for illustrations on the subject of Russian occupation has been announced“, For which it uses a photo of plaster with a red large caption - „Russian occupation from 1921 to the present day“. The imitation is created by the number 100. In this form, the inscription is made on the wall with chalk or scratched. The numbers one and two zeros mimic a wire mesh. There are three lines of barbed wire on the background of the inscriptions. In the upper part, it is read in black font-illustration contest. As the artist and theorist Kandinsky points out in his Perceptio „Theory of Color“, each color and form, and the relation of a particular color to a particular form, has its own emotional impact on the reader of a visual text. In Kandinski s work, red is defined as an exciting tone, those coloring excites the psyche. Analysis of the topographic design elements shows that the purpose of the poster and the photo created on it is to capture information about the 100-year occupation in the viewer’s consciousness. This picture contains information about the difficulty, bleeding and pain of prolonged occupation. However red at the same time evokes a desire for action in the viewer.

„Kviris palitra“ (July 13, 2015) published an article „Occupation, Football and Patriotism“ uses a photo of Irina Andreeva as an illustration, the frame of which is divided into two parts. The right side is colored, while the left side is dominated by black. In the black-and-white part, the inscription „No“ is written in large red font. The colored part depicts a green field with spring flowers. The field is fresh, but a little thinner, nor does the floral color palette match the traditional variety of flowers in the Kartli fields. An imitation of the Georgian flag is displayed on the field. The two spaces are separated by a barbed wire. The photo engages the reader in an implicit debate. The colors and shapes denoted to the left of the barbed wire con not the impossibility of the occupied territory, while the color is a symbol of an independent country. Under the wire boundary, the girl lies face down on the ground. Thus, its type is not identified. His hand is scratched and blood is flowing from the wound. Pay attention to the individual marks, markers, as Bart calls it. We are connoting that the dream of meeting Georgians living in the occupied territories with Georgia will cost people a lot of pain. Common civic desire is connoted in facial covering. In the relevant literature cited by us, we read that „art has long been an imitation of reality, but the time has come when art uses new forms and colors to convey reality“. This principle was also

## o. ჩარკვიანი

---

used by photography. The new photo, especially the digital photo, fully shares Kandinsky's method of reflecting reality and connotes the face of the enemy in the photo by denoting colors and shapes. The face of the enemy is not visible and he is implicitly felt in the results, his actions are expressed in the results. Hard-to-reach border, thin grass, colorless flowers, fallen flag, scratched, and bloody hands are associated with the very existence of the enemy. It is with these signs that the photo marks the enemy.

Report.ge (March 22, 2021) announced the death of Data Vaneishvili (known as Data Papa), who had become a symbol of the struggle against the occupation. The online edition for News uses a photo of Nino Kodalashvili, on which cloves in a wire are denoted. The discussion of signs here should be done according to the tradition of a particular culture. In Georgia, the dead are honored with cloves. This flower has become a symbol of demands for Georgian society. In this way, the content of respect and remembrance is expressed. And the enemy is symbolized with the barbed wire, as in previous photos. In the yard, which forms the background of this clove, there are dried leaves. Kandinsky's view of conveying reality in forms is relevant here as well, death, in this case, is shown with the syntax of dried leaves, border, and cloves. Moreover, it is conveyed in such a way that, as V. Kandinsky notes: „all the organs of the human senses can be shaken“.

Thus, the analysis of the materials published on Georgian online platforms revealed that in visualizing the enemy icon in the post-war situation, the modern media uses the method of the interrelation of forms and colors that have long been established in painting and photosynthesis as a way of connotation. It's like placing words in a sentence.